

## მე-4 კლასი

### ძირითადი დავალებები (100 ქულა)

#### კონონზომიერება (20 ქულა)

- დაადგინეთ კანონზომიერება და იპოვეთ შემდეგი რიცხვი: 9, 2, 7, 4, 5, 6, 3, 8 \_\_  
A) 5 B) 3 C) 1
- დაადგინეთ კანონზომიერება და იპოვეთ გამოტოვებული რიცხვი: 2, 3, 5, 5, \_\_, 8, 8, 9, 11, 11, 12, 14  
A) 7 B) 6 C) 5

#### არითმეტიკა (20 ქულა)

- ორი განსხვავებული ორნიშნა რიცხვის შეკრებით ყველაზე დიდი რა პასუხის მიღება შეგვიძლია? (5 ქულა)  
A) 199 B) 198 C) 197
- სულ მცირე რამდენი ორნიშნა რიცხვი უნდა დაწეროთ დაფაზე, რომ დაფაზე ყველა კენტი ციფრი ეწეროს? (5 ქულა)  
A) 3 B) 5 C) 10
- მარი ფორთოხლის გაფცქვნას 3 წუთს ანდომებს, ხოლო მის შექმას 1 წუთს. რამდენი ფორთოხლის შექმას მოასწრებს ის 10 წუთში, თუ ისინი ჯერ უნდა გაფცქვნას? (10 ქულა)  
A) 2 B) 3 C) 4

#### ლოგიკა (30 ქულა)

- კინგის ოლიმპიადაზე ქეთიმ შაკოზე 5-ით მეტი ქულა დააგროვა, ხოლო თეომ 7-ით ნაკლები, ვიდრე ქეთიმ. თუ თეო მეორე ტურში გადავიდა, კიდევ ვინ გადავიდოდა მეორე ტურში?  
A) შაკო და ქეთი B) მხოლოდ ქეთი C) მხოლოდ შაკო
- რა დროშიც სანდრო 2 ქადას შეჭამს, იმ დროში ბექა 3 ქადას ჭამს. მათ ერთად დაიწყეს ჭამა და ერთდროულად დაამთავრეს. რამდენი ქადა შეჭამა სანდრომ, თუ ორივემ ერთად 10 ქადა შეჭამა?  
A) 4 B) 6 C) 10
- მულტფილმის დასრულებამდე ტელევიზორში ყოველდღე აჩვენებდნენ ერთ სერიას. ნინიმ მხოლოდ სამი სერია ნახა და სამივე სხვადასხვა კვირაში. სულ მცირე რამდენი სერიისგან შედგებოდა მულტფილმი?  
A) 14 B) 15 C) 21

#### გამოიცანი უცნობი რიცხვი (30 ქულა)

- რომელი რიცხვია 17-ზე 10-ით მეტი?  
A) 17 B) 7 C) 27
- გამოიცანით ჩემი ჩაფიქრებული რიცხვი, თუ ის მეტია 23-ზე, ნაკლებია 26-ზე და კენტია.  
A) 37 B) 28 C) 25

#### ბონუს დავალებები (30 ქულა)

#### შეკითხვები ფინანსური განათლებიდან:

- მარიამს მშობლებმა ჯიბის ფულის სახით 10 ლარი მისცეს, ბებიამ კი მას დამატებით 5 ლარი აჩუქა. ამის შემდეგ, მარიამმა თავის ძმას 4 ლარი მისცა. საბოლოოდ, რამდენი ლარი აქვს ახლა მარიამს?  
A) 15 B) 11 C) 19
- ნიკას სათამაშო მატარებლის ყიდვა უნდა. სახლთან ახლოს, სათამაშოების მაღაზიაში მატარებელი 30 ლარი ღირს, ხოლო საზღვარგარეთ ინტერნეტ-მაღაზიაში სათამაშოს ფასი 20 ლარი გამოდის, საქართველოში ჩამოტანა დამატებით 10 ლარი ჯდება. რომელ შემთხვევაში დახარჯავს ნიკა ნაკლებ თანხას?  
A) თუ იყიდის სათამაშოს სახლთან ახლოს მაღაზიაში B) თუ გამოიწერს სათამაშოს ამერიკიდან  
C) ორივე შემთხვევაში ერთნაირ თანხას დახარჯავს

#### ლიდერი კომპანიების კითხვები მომავალ ლიდერებს:

##### „კრისტალის“ ბონუს კითხვა:

- ნიკა სახლიდან 3 საათით გავიდა და სინათლის ჩაქრობა დაავიწყდა. რა თანხით მეტის გადახდა მოუწევს ელექტროენერგიაში ამის გამო, თუ 1 საათში 1 თეთრის ღირებულების ელექტროენერგია იხარჯება?  
A) 3 თეთრით B) 2 თეთრით C) 1 თეთრით

##### „ლიბერთი ბანკის“ ბონუს კითხვა:

- ირაკლიმ 2 წლის წინ ლიბერთი ბანკში ანაბარი გახსნა. რამდენი წლისაა ის ახლა, თუ მაშინ 17 წლის იყო?  
A) 15 B) 17 C) 19

##### „ბიუ-ბიუს“ ბონუს კითხვა:

- „ბიუ-ბიუს“ ქათმის ხორცის პროდუქცია საქართველოს მასშტაბით ხელმისაწვდომია შემდეგ ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, ხაშური, გორი, ზუგდიდი, ქუთაისი, ბათუმი. საქართველოს მასშტაბით, სულ რამდენ ქალაქში ყოფილა შესაძლებელი „ბიუ-ბიუს“ ქათმის ხორცის პროდუქციის შექმნა?  
A) 5 B) 6 C) 7

#### წარმატების კიდევ ერთი შანსი მაგთისგან \* :

- ნიკუმა მაგთიკომის მომხმარებელია და მისი ტელეფონის ნომერი იწყება შემდეგი ციფრებით: 599000\_\_\_. შეიძლება თუ არა, დანარჩენი 3 ციფრი ისე შევარჩიოთ, რომ ნიკუმას ტელეფონის ნომრის ციფრთა ჯამი 23-ს უდრიდეს?  
A) კი B) არა C) ვერ დავადგენთ

\* გაეცი ბონუს კითხვას სწორი პასუხი, გახდი მაგთის აკადემიური კლუბის წევრი და მიიღე უფასო სიმ ბარათი, სიგელი, ყოველთვიური 100მზ, 100 SMS და 30 წუთი საჩუქრად.